პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია იმ ფაქტორების შემდგომი განვითარება, რაც უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართ მონაწილე მხარეების ზოგად დადებით განწყობას განაპირობებს;
- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთაშორისო მობილობის მიმართ, სტუდენტთა მოთხოვნებზე უფრო მეტი ფოკუსირება, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში კონკრეტული ეფექტური ღონისძიებების შემუშავება თვითონ მკვლევართა ჯგუფის უშუალო და აქტიური თანამონაწილეობით; ჯგუფის წევრების ინიციტივების გამოვლენა და მხარდაჭერა;
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებით მკვლევართა ჯგუფის მოთხოვნებზე უფრო მეტი ფოკუსირება, კონკრეტული მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში ეფექტური ღონისძიებების შემუშავება მკვლევართა ჯგუფის უშუალო და აქტიური თანამონაწილეობით, ჯგუფის ინიციტივების გამოვლენა და მხარდაჭერა;
- საკვლევი საკითხის მიმართ კონკრეტული საუნივერსიტეტო ღონისძიებების დაგეგმვისას, გამოვლენილი მაღალი ლოიალობის მიუხედავად, არ უნდა მოხდეს მოწვეული პერსონალის ყურადღების მიღმა დარჩენა, რამაც მათი ლოიალობის ხარისხის ვარდნა შეიძლება გამოიწვიოს - პირიქით, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განუწყვეტლივ იზრუნოს ამ ლოიალობის შენარჩუნება-ამაღლებასა და სწავლა-სწავლების პროცესის სასიკეთოდ გამოყენებაზე.

საკვლევი საკითხი:
მონაწილე მხარეების დამოკიდებულება საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთაშორისო მობილობის მიმართ.

მონაწილე მხარეები:
უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი.

საკვლევი საკითხის ზოგადი შეფასება:
გამოკითხულთა ყველა ჯგუფის გათვალისწინებით, საკვლევი საკითხის მიმართ დამოკიდებულება, ზოგადად, დადებითია - თითოეული ჯგუფის დიდი უმრავლესობა საკითხს დადებითად ან ძალიან დადებითად ახასიათებს.

მეტნაკლებად კრიტიკული დამოკიდებულების ამსახველი პასუხები (საშუალო), გამოკითხულთა ყველა კატეგორიის მიხედვით და დიდი ნაწილის გათვალისწინებით, საკმაოდ მცირე დიაპაზონში: 2%-10% დიაპაზონში ვარირებს.

მონაწილეე მხარეების დახასიათება საკითხის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით:

ყველაზე მაღალი ლოიალობით მოწვეული პერსონალი გამოირჩევა;
დადებით დამოკიდებულებას ავლენს აკადემიური პერსონალი;
გარკვეულწილად კრიტიკულ დამოკიდებულებას ავლენენ სტუდენტები;

სიტუაციის შეფასება:

მოწვეული პერსონალის მაღალი ლოიალობა გარკვეულწილად იმით შეიძლება აიხსნას, რომ ისინი ნაკლებად არიან ასოცირებულნი უნივერსიტეტთან, შესაბამისად, ნაკლები მოთხოვნები აქვთ უნივერსიტეტის მიმართ;

სტუდენტთა ერთგვარონი, სხვა ჯგუფებთან შედარებით კრიტიკული დამოკიდებულება გარკვეულწილად იმით შეიძლება აიხსნას, რომ საქმე ეხება კერძო უნივერსიტეტს, სადაც ისინი, ფაქტობრივად, სერვისის მიმღებ მომხმარებლებს წარმოადგენენ, ასეთი ჯგუფი კი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სერვისების ნებისმიერ სეგმენტში, კრიტიკულობით გამოირჩევა. მაგრამ, თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტთა ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის სხვა ასპეტები უფრო მაღალი შეფასებებით არის გამოხატული (მაგალითად, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით კმაყოფილება, სხვადასხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, შეფასების სისტემა, სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სისტემა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და სხვ.) უნდა დავასკვნათ, რომ სიტუაცია უფრო დეტალურ შეფასებასა და შესაბამის რეაგირებას საჭიროებას.

აკადემიური პერსონალი, ერთი მხრივ, მოწვეულთან შედარებით მეტადაა ასოცირებული უნივერსიტეტთან და ყველაზე უფრო ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ჯგუფს წარმოადგენს. შესაბამისად, მათი მხრიდან *დადებით დამოკიდებულების* გამოვლენის მიუხედავად, ყურადღების კონცენტრირება, საქმიანობის გააქტიურება უნდა განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთაშორისო მობილობის გააქტიურების მიმართულებით, ასევე უცხოურ უნივერიტეტებთან თანამშრომლობის შემდგომი გაფართოვებით. სტუდენტთა კმაყოფილების ხარისხი რამდენადმე ჩამორჩება ზემოთ დასახელებული კატეგორიების კმაყოფილების პროცენტულ მაჩვენებელს. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტები სწავლა-სწავლების პროცესის უმნიშვნელოვანეს განმახორციელებელ აქტორებს წარმოადგენენ აუცილებელია უცხოურ უნივერიტეტებთან ერთობლივი პროექტების, საგანმანათლებლო პროგრამების და კვლევების განხორციელებით, ასევე საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობით გატარდეს ქმედითი პოლიტიკა.

პარამეტრი		კმაყოფილება
მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	I1. რამდენად კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით? გთხოვთ, შეაფასოთ ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება:	95.8
მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	I2. რამდენად უწყობს ხელს უნივერსიტეტი საერთაშორისო თანამშრომლობას (ერთობლივი პროექტები, საგანმანათლებლო პროგრამები, კვლევები და ა.შ.)? გთხოვთ, შეაფასოთ ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება:	91.7
მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	I3. რამდენად უწყობს ხელს უნივერსიტეტი პერსონალის საერთაშორისო მობილობას? გთხოვთ, შეაფასოთ ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება:	91.7
აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	I1. რამდენად კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით? გთხოვთ, შეაფასოთ ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება:	82.7
აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	I2. რამდენად უწყობს ხელს უნივერსიტეტი საერთაშორისო თანამშრომლობას (ერთობლივი პროექტები, საგანმანათლებლო პროგრამები, კვლევები და ა.შ.)?გთხოვთ, შეაფასოთ ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება:	82.7
სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	I1. რამდენად კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით? გთხოვთ, შეაფასოთ ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება:	78.7
სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	I3. რამდენად უწყობს ხელს უნივერსიტეტი სტუდენტების საერთაშორისო მობილობას? გთხოვთ, შეაფასოთ ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება:	78
სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	I2. რამდენად უწყობს ხელს უნივერსიტეტი საერთაშორისო თანამშრომლობას (ერთობლივი პროექტები, საგანმანათლებლო პროგრამები, კვლევები და ა.შ.)? გთხოვთ, შეაფასოთ ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება:	78
აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	I3. რამდენად უწყობს ხელს უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას? გთხოვთ, შეაფასოთ ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება:	80